







გენლებს, რომლებიც აწარმოებენ აგრო-  
ტორებს, რომ ისინი მშვენიერადაა  
განწყობილი. საქართველოს მენეჯერები,  
რომლებიც განაგრძობენ საქართველოს  
აგროკულტურის, საკვლის თვის თავს  
ამ ქვეყნის კანონები წარმოადგენენ  
ლად, რომელსაც ისინი უკვე აღარ გა-  
ნაგებენ.

მოკლედ, 2 მარტი, ბალტიის სახე-  
ლწოდებითა მოხმარდებელი თათბირი  
გენერალ კონფერენციისათვის განზრახუ-  
ლია მოიწვიონ ვარშავაში, ლიტვისა  
და პოლონეთის დემოკრატიულმა, ლი-  
ბონის საკრებო საქმეთა მინისტრის მე-  
რობის სიტყვით, ანუ თუ ვინც ამ თა-  
თბირში ბალტიის ყველა სახელმწიფო-  
ების მონაწილეობის მიღების საკითხს.

მოკლედ, 2 მარტი, დასრულებულია  
მ მარტს პარიზში შესვლა საფრანგე-  
თის, ინგლისის, ბელგიის და იტალიის  
ფინანსთა მინისტრების კონფერენცია.  
კონფერენციაზე განიხილავდნ იმ გადა-  
სახადის განაწილების საკითხს, რომე-  
ლიც უკვე გადაიხდა ან უნდა გადაი-  
ხდეს გერმანიამ. მინისტრები განიხი-  
ლდნ აგრეთვე ოკუპაციით დატვირთ-  
ულ ქვეყნებში მყოფ მოკავშირეთა ჯარების  
შესახებ მარტის ანაზღაურების სა-  
კითხს.

მოკლედ, 3 მარტი, ვინიდან თებერ-  
ვლის 26-ს იუწყებიან: ფრანკფურტში  
გახსნილ მე-2-ე და 2 ხაზგარე ინტერ-  
ნაციონალური კონფერენციაზე ვანდერ-  
ველდემ განაცხადს, რომ მე-2-ე ინ-  
ტერნაციონალი პარიზში თანახმაა  
სამხედრო ინტერნაციონალის კონფერენ-  
ციის მოწვევაზე და წინადადებას იძლევა  
მოწვევდ იქნეს წინასწარი კონფერენ-  
ცია კომიტეტის მონაწილეობით, მხო-  
ლოდ იტალიის უფლებას წამოაყენოს  
საკითხები ხალხთა თვითმმართველობის  
და სამართა რეჟიმის დაცვების  
პოლიტიკურების შესახებ, მე-2-ე ინტერ-  
ნაციონალი თანახმა იქნება განვიხი-  
ლდეს მოლაპარაკება კომიტეტის  
თან, თუ წინასწარ თ. თბირზე ის დარ-  
წმუნდება, რომ კომიტეტის ბელმდგა-  
ხელობს სეი თამოთი პარლამენტის  
ტის გადღეობის მიზნით და ანა პარ-  
ტიების განხილვებისა და მათთან კო-  
სტრუქციული იანტიკების შექმნით. ასეთი  
შეზღუდვით მე-2-ე ინტერნაციონალი  
უერთდება თან-ლის მანფესტს სამი-  
ვე ინტერნაციონალის მოწვევის შესა-  
ხებ.

2 და 2-ხაზ. ინტერნაციონალის კონ-  
ფერენციები.

ვინიდან იუყებიან 2 და 2-ხაზ.  
ინტერნაციონალის კონფერენციაზე, რომ-  
ელიც ფრონტებში გაიხსნა, ვანდერ-  
ველდემ განაცხადს, რომ მყოფ ინტერ-  
ნაციონალი პარიზში იქნება თანახმა  
სამხედრო, ინტერნაციონალის კონფერენ-  
ციის მოწვევისა და წინადადებას იძლე-  
ვა მოწვევდ იქნეს წინასწარი კონფერ-  
ენცია კომიტეტის მონაწილეობით,  
იტალიის და უფლებას აღიარებს საკით-  
ხები ხალხთა თვითმმართველობის  
და სამართა რეჟიმის დაცვების  
პოლიტიკურების შესახებ, მე-2-ე ინტერ-  
ნაციონალი თანახმა იქნება განვიხი-  
ლდეს მოლაპარაკება კომიტეტის  
თან, თუ წინასწარ თ. თბირზე ის დარ-  
წმუნდება, რომ კომიტეტის ბელმდგა-  
ხელობს სეი თამოთი პარლამენტის  
ტის გადღეობის მიზნით და ანა პარ-  
ტიების განხილვებისა და მათთან კო-  
სტრუქციული იანტიკების შექმნით. ასეთი  
შეზღუდვით მე-2-ე ინტერნაციონალი  
უერთდება თან-ლის მანფესტს სამი-  
ვე ინტერნაციონალის მოწვევის შესა-  
ხებ.

### მორიგი საკითხი

თებერვლის ოცდა ხუთს შესრულდა  
ერთი წელი, რაც საქართველოს გან-  
გებს კომუნისტური პარტია.

ერთი წლის თავი საქართველოს  
მშრომელმა ხალხმა დიდი ზეიშით იღვე-  
საწყოდა.

ამავე დღეს იქნა მოწვეული სრუ-  
ლიად საქართველოს საბჭოების ყრი-  
ლობაც, რომელსაც იქნა აღმასრულებელი  
კომიტეტი, რომელიც სულ მოკლე  
დროის განმავლობაში შეუდგება სათა-  
ნად მუშაობას. ერთის სიტყვით, რე-  
კომის სიტყვით ჩვენ თანდათან გა-  
დავდებით საბჭოების სისტემებზე, რაც  
მეტივე მნიშვნელოვან მოვლენად უნდა  
ჩათვალოს.

სამხედრო აღმასრულებელი კომიტეტი  
საქართველოს შეუდგება სთახად  
მუშაობას, აუცილებელი საკითხები  
მოითხოვს, რომ გადასინჯულ იქნას  
ყველა რეკომის ნაშრომები, რომელ-  
საც იგი ერთი წლის განმავლობაში  
აწარმოებდა და უნდა აღინიშნოს იქნას  
ყველა ის შედეგები, რომელიც თა-  
ვის მოდებდაში დაუშვა მან.

ყველას მოგსწავნია, რომ ჩვენი დედა  
ქალაქი სასუსა სხვა და სხვა სახელმწი-

ფო დაწესებულებებით. საკითხი ისრება  
თუ რომელ ნაზზე უნდა იქნას საქმის  
წარმოება. ჩვენთვის მნიშვნელოვან  
ალ-ფედერალის ტიპისათვის ეს საკითხი  
საკითხი არ არის, რადგანაც მისი შე-  
სახებ არა ერთხელ და ორხელ გამო-  
ვითქვამს ჩვენი აზრი, როგორც პრესა-  
ში, აგრეთვე ყველაზე, სადაც კი საკი-  
რობები მოითხოვდა და სწორედ დიდ  
უბედურებებში მიგვიჩინა ის, რომ დღე-  
საც ამ საკითხის ირგვლივ გვიხდებოდა  
მსჯელობა.

ჩვენ ყოველთვის ვამბობდით და დღე-  
საც ვიტყვი, რომ აუცილებელი საკი-  
რობებს მოითხოვს დაცული იქნეს ჩვე-  
ნი სამშობლო ენა.

დღეს ვინ არ იცის, რომ ქართული  
ენა მეორე ხარისხის ენათ ითვლება.  
არის აგრეთვე სახელმწიფო დაწესე-  
ბულებში, სადაც უცხო ენებზე არის  
საქმის წარმოება. ერთი სიტყვით, იმის  
ნაცვლად, რომ ქართული ენა მეტი პა-  
ტივისცემა ჰქონდეს, პირაქით, ჩვენ  
ვხედავთ, რომ მას ნივთიერება და  
უცხო ენა იქნება მის ადგილს, რასაც  
საქართველოს მშრომელი ხალხი ვერა-  
სოდეს ვერ შეზრდებდა.

მართლა რეკომის ამის შესახებ გა-  
მოსცა სათანადო დეკრეტი, მაგრამ იგი  
მხოლოდ სიტყვად დარჩა და ცხოვრე-  
ბაში არ გატარებულა, რადგან საქე-  
რა მუშაობა ამ დარგში არ წარმოე-  
ბულა. ერთი სიტყვით, მრავალი საკი-  
თხისგანაა გამოსარკვევი და აღმასრუ-  
ლებელმა კომიტეტმა, რომელიც დღე-  
საც ამ მოკლე დროში მუშაობას,  
ყოველივე დამტკიცება უნდა გადა-  
ლახოს.

ჩვენ სრულ იმედს გამოვთქვამთ, რომ  
აღმასრულებელი კომიტეტი ამას შე-  
ძლებს, რადგანაც ამის მოითხოვს სა-  
ქართველოს მშრომელი ხალხის ინტერ-  
ესები.

გ. ლასკარი.

### თეატრი და ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა.

აპრელის 1-ს. პიუ-ტთან მოქ.  
სტალინის მიხედვით მონაწილეობ-  
ბას იღებენ სახელმწიფო საოპერო  
დასის პრეზიდენტი-მოქ, ალექსო,  
სარაჯიშვილი, ინაშვილი, საბინინი.  
ყოველივე ეს უზრუნველყოფს ოპე-  
რის მხატვრულ დადგმას. საოპეროდ,  
ოპერა ასე თუ ისე მოხდენილად  
არის დადგმული, მაგრამ არის სოცი-  
ერთი დეფექტი, რომელიც ჩემის  
აზრით ადრინდელი უნდა იქნეს შემდე-  
გი განმეორების დროს, რომ მიღწე-  
ულ იქნას ის სიმბოლე, რის დირსიც  
აოის შეიერბების ეს შესაძლებელი ოპე-  
რა.

პირველი საკითხი ოპერის კარგი  
რეპრეზენტაცია. უკანასკნელის უკონ-  
ლობა განსაკუთრებით დეტალურ ორ-  
გესტრის გაუბედობას ხოროს, რის  
გამო „თავიდან მოსამორებლად“,  
გატარებულ იქნა მეორეს აქტის ფი-  
ნალი, და სახალბო სცენა 3 აქტში  
ხოლო მით უწყვეს პუგნოტებისა  
და კათოლიკების მერიების სცენის  
დროს, ზოგიერთი მომდრალი ხო-  
როსთან ერთად უნისობით მდგრო-  
და, დანახენი (ალექსო, სტაროს-  
ტინა მიყვებოდნენ პარტიტურის  
ტონს, რამაც კავთონის დაამსგავსა  
მესრულება.

გაუბრდებით ასრულებს, ხოლო 3  
აქტში, მეთქმულების სცენაში, 3  
აქტის სექსტეტს. ზოგჯერ ორკეს-  
ტრი მორდება მომდრალს (ნევრის  
სცენა 4 აქტში), თუმც ორკესტრმა  
მწყობრად დაიწყო და უფერტიურა-  
ში მისცა მელოდიური სურათი (ფუ-  
გა).

რაც შეეხება მომდრალს აღსა-  
ნიშნავია რაულის პარტიის შემსო-  
ლებელი მოქ. სარაჯიშვილი. მომდრ-  
ალის თანდათან დასრულებულ სა-  
ხეს იღებს, მისი შესრულება „მომ-  
ლიურ მხარეს“ და პირველი რომაბი  
ვოკალიური ხელოვნების CHEL d'GE-  
UR არის.

არის დეფექტებიც, რომლის გა-  
სწორებაც მომდრალს ადვილად  
შეუძლია. აუცილებელია უარყოფი-  
ლი უნდა იქნეს სურვილი მაღალი  
ნოტივ ეფექტის მოხდენა. (მე 3 აქ-  
ტის კვინტეტი, 4-5-ს დუეტი), ეს  
მხატვრული არაა. სექსტეტში საკითხა

მეტი ხმის მოცემა და სექსტეტის და-  
ნარჩენ მონაწილეთა თანაბრად სიმ-  
ღერა.

დუეტი ვალენტინასთან „შენ მე  
მითხარი“ არ შეიძლება შესრულებულ  
იქნეს Mezzo voce. შეხედულებითა  
და სცენაზე თავის დაქვით მოქ. სა-  
რაჯიშვილი შესაძლებელი რაულია.  
ფრაზა „ო დმერთო ჩემო“ (1 აქტი)  
უნდა ასრულდეს მუსიკალურა ტექს-  
ტის მიხედვით.

მოქ. ალექსო (ვალენტინა) როგორც  
ყოველთვის დასრულებულად მდერის.  
თავისული ფრაზა მომდრალ ქალს  
შეშუშავებული და მუსიკალური აქტს.  
სცენიური გადმოცემა კარგია, მხო-  
ლოდ სასურველია მეტი ვარკვეული  
ასრულება cadenza დუეტში მარ-  
სელთან მე-4 აქტში დუეტში რაულ-  
თან.

სტაროსტინა ეფექტური დელო-  
დალია მარგარიტა ვალუა, მაგრამ  
ეტყობა არ სურს მომდრალს პრო-  
ვინციული ჩვეულებას, იმდროს  
ad libitum tempo-ს მიხედვით, არ  
უნდა მხედველობაში მიიღოს, maes-  
tro სტალინის მიხედვით კი როგორც  
გარკვეული მუსიკოსი სასტიკად იცავს  
პარტიტურას. ამის გამო იყო რამო-  
დენიმე ვარდახვევა ორკესტრსა და  
სტაროსტინას შორის, შემდეგ, სიმ-  
ღერის დროს. მოქ. სტაროსტინა  
ცდილობს ეფექტი მოახდინოს მად-  
ლი ნოტებით, რომელიც პარტიტუ-  
რაში არ არის. მომდრალმა ქალმა  
უნდა იმეცადინოს კოლორატურაზე-  
დაც (იგი წინდა არ არის) და staccato-  
ს-ზედაც (მეტად მძიმე აქტს).

მეტივე მოხდენილი წვერია მოქ.  
ინაშვილი მდერის კარგათა მოფი-  
ქრებულად, კეთილშობილურად.  
მხოლოდ საკითხი არ არის ყოველ-  
თვის ხელთათმანებში ყოფნა. ეს  
დეტალია, მაგრამ arbiter elegan-  
tiarum მონაწილეთა საფრანგეთისა  
ეს დეტალი საყურადღებოა, რა-  
გორც ეს აღნიშნულია მეიერბერის  
ლიბრეტოშიც. მე-4 აქტში სენ-  
ბრასთან უადვილოა საკორწილო  
ტანსაცმელში ყოფნა.

ფანტიკოსის კარგ სახეს იძლევა  
მოქ. ისეცა. (გრაფი დესენ-ბრი).

მოქ. საბინინი მოხუც ჯარისკაცის  
მარსელის მხატვრულ სახეს იძლევა.  
წითელ ხაზად ტარდება მის ვადმო-  
ცემაში მარსელის ერთგულდება პუგნ-  
ნოტებისადმი და ნახი მორჩილობა  
და სიყვარული რაულისადმი. მდგ-  
რის კარგათა. სასურველია მხოლოდ  
მეტი ვარკვეული დეკრია.

სასიამოვნოთ ასრულებს ურბანს  
მოქ. ვიშნეირსკია-ცვარელი. კარ-  
გათ არის დადგმული ცეკვა.

3. 3.

### სამუდამად დადგენილი

ტფილისის აღმასრულებელ კომიტე-  
ტის პრეზიდენტი (სამმართველოს  
განყოფ.)

17 იანვარი 1922 წ. ქ. ტფილისი.

ქ. ტფილისში ავტომობილების  
მომართობის, საერთოდ მეტეტლეთა  
მიმოსვლის წესრიგის და ველოსიპე-  
დებით სარეის მონაწილეთაგან  
ქ. ტფილისის აღმასრულებელ კო-  
მიტეტის პრეზიდენტი ადგენს მიღე-  
ბულ იქნას სწორუცვლელად ასა-  
სრულებლად შემდეგი წესი:

1. ავტომობილების მომართობა  
მხრით:

- 1) ქალაქში მონაწილეთა ყოველ  
მსუბუქ თუ საბარგო ავტომობილს  
აუცილებლად უნდა ჰქონდეს ორი  
დაბეჭდილი სანაბრა ნიშანი.
- 2) სანაბრა ნიშნები უნდა იყოს  
ისეთი სახით დასმული, რომ ადვი-  
ლად შეიძლება დასწავლოს სარეის  
ავტომობილის გამოსვლა როგორც  
წინიდან, ისე უკანიდან.
- 3) ყოველ მოფერს თან უნდა ჰქო-  
ნდეს სათანადო სამსახურის ადგილი-  
დან გადმული პირადობის მოწმობა.
- 4) ავტომობილის სარეისის სის-  
წრაფე არ უნდა აღემატებოდეს სათ-

ში-მსუბუქისა 15-ს და საბარგოსი-  
10 ვერსტს.

5) სასტიკად აკრძალულია ქუჩის  
მარცხენა მხრით სიარული, ვიწრო  
ადგილებში წინ გასწრება და კუთხე-  
ების მოჭრა.

6) ტრამვის ვაგონების გასწრების  
დროს დაეულ უნდა იქნას მეტის-მე-  
ტი სიფრთხილე.

7) ყოველ ავტომობილს უნდა ჰქო-  
ნდეს სახმარეო სიგნალი. სასტიკად  
აკრძალულია ასეთ სიგნალთ მილი-  
ციის სასტიკების ხმარება.

8) ყველა ღამე მონაწილეთა ავტო-  
მობილებს აუცილებლად უნდა ჰქონ-  
დეს ფაონები.

9) აკრძალულია უკაცოდ ქუჩაში  
ავტომობილის დატოვება.

10) ყოველგვარი მოულოდნელო-  
ბის გამო, მოფერებს სასტიკად ეკრ-  
ძალება სიარულის დროს მგზავრე-  
ბის ღამეა და თამბაქოს მო-  
წვევა.

11) როგორც სამოქალაქო, ისე  
სამხედრო დაეკატულებათა ყველა  
მოფერებს ველებათ დაუყოვნებლივ  
გააჩერონ ავტომობილები ქ. მ/გ. მი-  
ლიციის შემადგენლობის მოთხოვნი-  
ლება-სიგნალისთანავე. წინააღმდეგ  
შემთხვევაში მილიციის შემადგენ-  
ლობას უფლებია აქვს გააჩეროს ისინი  
იარაღის ძალით.

12) სრულიად აკრძალულია სა-  
ბარგო ავტომობილებით მიმოსვლა  
რუსთაველისა და პლებანოვის პროს-  
პექტებზე, სოლოლაკის და ჩერქე-  
ზოვის ქუჩებზე და ტრამვის ლი-  
ანდაზე ყველა მიმართულებით.

13) ქ. ტფილისის მ/გ. მილიციის  
უფროსს ველებათ გასცეს მილიციის  
მიმართ სათანადო განკარგულება,  
რომ ამ სავალდებულო დადგენილე-  
ბის დამრღვევი მოფერები დაუყო-  
ვნებლივ იქნან დაპატიმრებულნი მა-  
თზე აღინიშნული ოქების

შეყენებით, რომლებიც ვადმოგზა-  
ვნოს სამმართველოს განყოფილებაში  
დამნაშავე პირთა პასუხას გებაში მი-  
საცემბთ.

11. მეეტლეთა მისმოსვლის წეს-  
რიგის მხრით:

1) ყოველ მეეტლეს თან უნდა  
ქონდეს ქ. ტფილისის აღმასრულებ-  
ელ კომიტეტის სამმართველოს გან-  
ყოფილების მიერ გაცემული წარმოე-  
ბის ნებართვა.

2) ქუჩებში სიარულის დროს მეე-  
ტლეთა ვალდებულია:

- ა) დაიჭირონ მარჯვენა მხარე,
- ბ) იარონ საშვალო თხაბრიკით,
- გ) არავითარი საშვალგით არ ას-  
წრებდნენ ერთმანეთს,
- დ) გზოების კარებიდან გამოსვლის  
დროს, მოსახვევებში და ვიწრო ადგი-  
ლებში იარონ აუცილებლად ნაბი-  
ჯით,
- ე) დადართში ჩასვლისას, გზა-ჯგო-  
რედისებზე და აკრუთვე გზის ვადამ-  
კრულ ცხენოსან თუ ქვეითა მგზავრე-  
ბთან შეხედრის დროს აუცილებლად  
შეუკავონ თავი ცხენებს.

3) დაუყოვნებლივ შეასრულონ მი-  
ლიციის ყველა მოთხოვნილებები და  
გაჩერდნენ მილიციის შემადგენლო-  
ბის მოთხოვნილება სიგნალის მი-  
ხედვით.

4) გზა დაუთმონ ყველა პროკუ-  
სიებს, ცეცხლის შტრობელთა რაზმს,  
გამვლელ ჯარის ნაწილებს და პა-  
ტიმართა გუნდებს, ხოლო თუ აღ-  
გლი ამის ნებას არ აძლევს, იმ შე-  
თხვევაში გაჩერდნენ, სანამ ისინი არ  
გავლიან,

5) ქუჩებში გაჩერების დროს მეე-  
ტლეთა ველებათ:

- ა) არ დაიჭირონ გააყვლელები;  
დადგნენ განსაზღვრულ ადგილებზე  
რიგად და არ შეავიწროვონ შესვა-  
ლი კარები, ქიშკრები და შესავალე-  
ბი,
- ბ) არ დასტოვონ ქუჩაში უკაცოდ  
ცხენები.
- გ) არ მიაბან ცხენები სვეტებს,  
მოაჯირებს და აივნებს.
- დ) თეატრებთან, რკინის გზის სა-  
დგურთან და სავაითად იმ ადგილებ-  
ზე, სადაც ბევრი ეტლი გროვდება,

მეტლეთა ველებათ და სიარულის  
გალიბი მილიციის მოთხოვნიებით.

6) ქუჩებზე ქარავნების მსგელო-  
ბის დროს მეეტლეთა ველებათ და  
ცვან შედეგად წინააღმდეგ

ა) ქუჩაზე თავისუფლად გასაყვლე-  
ლოდ ქარავნის ყოველ მესამე ეტლის  
შემდეგ უნდა იმდენად თავისუფალი  
ადგილი იყოს, რომ სხვა ეტლს  
შეეძლოს თავისუფლად გავლა.

ბ) როგორც დატვირთული, ისე  
ცარიელი დროგები, ფურგანები და  
ორთვილი უნდა მიიღონდნენ რიგის  
დაცვით ქუჩის მარჯვენა მხარეზე ერთ-  
მანხეთის დაუწრებლად.

7) სრულიად აკრძალულია დრო-  
გების, ფურგანების და ურბების  
სიარული რუსთაველის და პლებან-  
ოვის პროსპექტებზე, სოლოლაკის  
და ჩერქეზოვის ქუჩებზე და ტრამ-  
ვის ლიანდაგზე ყველა მიმართულებით.

8) აღნიშნული სავალდებულო  
დადგენილება ვრცელდება როგორც  
მუდმივ მეეტლეთა, ისე ყველა სა-  
ბკოთა, კოლმერატოთა, საზოგადო-  
თა და აგრეთვე კერძო პირთა მეეტ-  
ლეთებზედაც.

9) ქ. ტფილისის მ/გ. მილიციის  
უფროსს ველებათ გასცეს მილიციის  
მიმართ სათანადო განკარგულება,  
რათა სასტიკი თვალყური ედგებო-  
დეს ამ დადგენილების ასრულებას  
და მისი დამრღვევი პირები დაპატი-  
მრებულ იქნან მათზე აღინიშნული ოქ-  
ების შეყენებით, რომლებიც  
უნდა გამოგზავნოს სამმართველოს  
განყოფილებაში, რათა დამნაშავენი  
განყოფილების გამგის ხელის უფლებ-  
ებით აღინიშნული წესით მო-  
თავსებულ იქნან გამსწორებელ სა-  
ხლებში სამი თვით ან და 25 მილიონი  
მანეთით დაჯარიმებულნი.

111. ქალაქში ველოსიპედებით  
სიარულის მხრით:

1) ყოველ ველოსიპედის მუხატო-  
ნეს თან უნდა ჰქონდეს ქ. ტფილისის  
აღმასრულებელ კომიტეტის სამმარ-  
თველოს განყოფილების მიერ გაცე-  
მული ველოსიპედის სიარულის ნე-  
ბართვა.

2) ველოსიპედით მოსიარულეთ ვე-  
ლებული იაროს ქუჩის მარჯვენა  
მხრით.

3) სწავლად ანდა გასასწრებლად სიარ-  
ული აკრძალულია.

4) ქვეითა მონაწილეთა და ეტ-  
ლების შემოვლა შეიძლება მხოლოდ  
მარცხენა მხრიდან.

5) ველოსიპედით მოსიარულეთ ვე-  
ლებულია ქვეითა მონაწილეთა და  
ეტლების შემოვლისას თავის  
დროზე აცნობოს მათ მოახლოვება  
სარეკავით და სიარულს მოუკლოს.

6) კუთხის შემოვლა და ქუჩის გა-  
დაჭრა შეიძლება მხოლოდ ნელი  
სიარულით.

7) იმ ადგილებზე, სადაც ბევრი  
ხალხი და ილი გროვდება, პატრონმა  
ველოსიპედი უნდა გაატაროს ხე-  
ლით.

8) სასტიკად აკრძალულია ქვეყე-  
ნილებზე და ბადებში ველოსიპედით  
სიარული ანდა მისი ხელით გატარე-  
ბა.

9) ქ. ტფილისის მ/გ. მილიციის  
უფროსს ველებათ გასცეს მილიციის  
მიმართ სათანადო განკარგულება,  
რათა სასტიკი თვალყური ედგებო-  
დეს ამ დადგენილების ასრულებას  
და მისი დამრღვევი პირები დაპატი-  
მრებულ იქნან მათზე აღინიშნული ოქ-  
ების შეყენებით, რომლებიც  
უნდა გამოგზავნოს სამმართველოს  
განყოფილებაში, რათა დამნაშავენი  
განყოფილების გამგის ხელის უფლებ-  
ებით აღინიშნული წესით მო-  
თავსებულ იქნან გამსწორებელ სა-  
ხლებში სამი თვით, ანდა 25 მილიონი  
მანეთით დაჯარიმებულნი.

ტფილისის აღმ. კომიტეტის თავ-  
მჯდომარე დუშაბაძე.

სამმართველოს განყოფ. გამგე.  
პრეზიდენტი ვიგრი მანაძიძე.

მდივანი სახურია.

რედაქტორი—სარედაქციო კომისია.  
გამომცემელი— მოთავარი კომიტეტი.